განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური
საერთაშორისო ურთიერთობები, საფეხური 6

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი
19 ნოემბერი, 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი
20 დეკემბერი, 2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245428158
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საერთაშორისო ურთიერთობები International Relations
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი Bachelor of International Relations
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0312 საერთაშორისო ურთიერთობები International Relations
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გვანცა აბდალაძე, სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი,	ეკა დარბაიძე, შპს საქართველოს ეროვნული

1 ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

2 უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირაკლი ნოდია, სსიპ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქრისტინე ჩიხლაძე, სსიპ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის „საერთაშორისო ურთიერთობები“ მოცულობაა 240 კრედიტი (4 წელი/8 სემესტრი/) რომელიც დაყოფილია შემდეგ კომპონენტებად: შესავალი სასწავლო კურსები (50 ECTS), ძირითადი სავალდებულო (130 ECTS), არჩევითი სასწავლო კურსები (50 ECTS), თავისუფალი კომპონენტი (10 ECTS). პროგრამაში წარმოდგენილია 74 სასწავლო კურსი (სავალდებულო/არჩევითი). სავალდებულო სასწავლო კურსების ნაწილში 6 კრედიტი ეთმობა პროფესიულ პრაქტიკას და 10 კრედიტი საბაკალავრო ნაშრომს. პროგრამის სტრუქტურაში დიდი ადგილი ეთმობა ენების სწავლებას: 20 კრედიტი განსაზღვრულია სავალდებულო ინგლისური ენის სწავლებისთვის, 20 კრედიტი არჩევითი მეორე ენის სწავლებისთვის (ფრანგული, რუსული, გერმანული, თურქული ენები).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა ამა წლის 19 ნოემბერს ონლაინ ვიზიტის ფორმით. დღის წესრიგის შესაბამისად, ვიზიტის დროს ჩატარდა ინტერვიუები უსდ ადმინისტრაციასთან (რექტორის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი) და ფაკულტეტის წარმომადგენლებთან (ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური), პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, ბიბლიოთეკის წარმომადგენელთან, დამსაქმებლებთან. ონლაინ ფორმატში განხორციელდა რესურსების დათვალიერება (საბიბლიოთეკო რესურსები და სხვ.) ვიზიტმა ჩაიარა კოლეგიალურ ატმოსფეროში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტანდარტი 1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.2. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.3. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.4. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.5. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.6. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.3. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.4. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.3. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

2.2.

რეკომენდებულია, სასწავლო კურსები „მსოფლიო პოლიტიკა 1“, „მსოფლიო პოლიტიკა 2“, „მსოფლიო პოლიტიკა 3“ ჩამოყალიბდეს ორ სასწავლო კურსად (ნაცვლად სამისა) და აღნიშნული სასწავლო კურსები და ასევე, სასწავლო კურსი „საქართველო მსოფლიო ცივილიზაციების კონტექსტში“ გადავიდეს არჩევით კურსებში.

რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურაში არსებული სავალდებულო სასწავლო კურსი „სოციოლოგიური კვლევის მეთოდები და კვლევის დიზაინი“ ჩანაცვლდეს ორი სავალდებულო სასწავლო კურსით: „აკადემიური წერა და კვლევის დიზაინი“ და „კვლევის მეთოდები პოლიტიკის მეცნიერებებში/სოციალურ მეცნიერებებში“ (რომლის შინაარსში წარმოდგენილი იქნება როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი მეთოდები).

რეკომენდებულია, სასწავლო კურსების „საინფორმაციო ტექნოლოგიები“ და „თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები“ სტრუქტურის სავალდებულო ნაწილში გადმოტანა.

რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურის სავალდებულო ნაწილს დაემატოს სასწავლო კურსი „ეკონომიკის საფუძვლები“ რომელიც უნდა განისაზღვროს წინაპირობად სასწავლო კურსებისთვის „საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის საფუძვლები“ და „გეოეკონომიკა და გეოსტრატეგია“.

2.3.

რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურა და სასწავლო კურსების სილაბუსები მოვიდეს ურთიერთშესაბამისობაში და თავიდან იქნას აცილებული ტექნიკური თუ შინაარსობრივი ხარვეზები.

რეკომენდებულია, სასწავლო კურსებს „მსოფლიო პოლიტიკა 1-2“; „სისტემური საერთაშორისო ურთიერთობები“; „საქართველო მსოფლიო ცივილიზაციების კონტექსტში“ მოეძებნოს შინაარსის შესატყვისი სათაურები.

რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში „პოლიტიკა (ზოგადი კურსი)“, „რეგიონთმცოდნეობის საფუძვლები“, „შედარებითი პოლიტიკა“ განხორციელდეს შინაარსობრივი ცვლილებები.

რეკომენდებულია, სასწავლო კურსების „შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში“ და „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები“ შინაარსების სინქრონი იმ სახით, რომ უზრუნველყოფილ იქნას საერთაშორისო ურთიერთობების ყველა ძირითადი თეორიისა და სკოლის განხილვა.

რეკომენდებულია, დავიწროვდეს სასწავლო კურსების „საერთაშორისო უსაფრთხოება და წესრიგი“; „გეოეკონომიკა და გეოსტრატეგია“; „საერთაშორისო პოლიტიკა და სტრატეგიული დაზვერვა“ სათაურები და განხორციელდეს თანმდევი შინაარსობრივი ცვლილებები.

რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სილაბუსის დანართში მოხდეს წარმოდგენილი სალექციო თემატიკის დეტალიზაცია და თემების შესატყვისი ძირითადი ლიტერატურის მითითება.

რეკომენდებულია, პროგრამის სილაბუსებში ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის განახლება ახალი გამოცემებით, ნათარგმნი წიგნებით, ინგლისურენოვანი წიგნებით, პოლიტიკის დოკუმენტებით, ინტერნეტ-რესურსებით (ვიდეო ლექციები, კვლევითი ორგანიზაციების ვებგვერდები, სასარგებლო ბმულები (კანონებისა და სხვადასხვა უწყებების საქმიანობის გასაცნობად), საერთაშორისო ორგანიზაციების ვებგვერდები და სხვ.)

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1.1.

სასურველია, ფორმულირება „მშობლიურ და უცხოურ ენებზე (ინგლისური და ერთ-ერთი სხვა ენა არჩევით) კომუნიკაციის უნარების განვითარება“ შეიცვალოს ფორმულირებით „მშობლიურ და ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის უნარების განვითარება“ მეორე უცხო ენის არჩევითი სტატუსის გათვალისწინებით.

1.2.

სასურველია, პროგრამის შედეგების ლაკონური ფორმულირება.

2.2.

სასურველია, სასწავლო კურსს „შედარებითი პოლიტიკა“ რომლის წინაპირობაა „პოლიტიკა (ზოგადი კურსი)“ წინაპირობად დაემატოს კიდევ ერთი სასწავლო კურსი: „რეგიონთმცოდნეობის საფუძვლები“.

2.3.

სასურველია, სწავლის შედეგებში ასახული იყოს პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილი იმ სასწავლო კურსებისთვის, რომლებიც შინაარსიდან გამომდინარე ორიენტირებულია პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობისა სწავლების საფეხურის შესაბამისი ასპექტების განვითარებაზე.

სასურველია, გასწორდეს ტექნიკური შეცდომები და სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგების „კომპეტენციების“ ნაწილს გადაერქვას „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“.

სასურველია, საბაკალაბრო ნაშრომის სილაბუსში აისახოს საბაკალავრო თემის საერთაშორისო ურთიერთობების თეორიასთან/სკოლასთან დაკავშირების აუცილებლობა.

2.4.

სასურველია, დაიხვეწოს პრაქტიკის კომპონენტი და პრაქტიკის გავლის პროცესში აქცენტი გაკეთდეს პროგრამის სასწავლო კურსებით შეძენილი პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაზე.

სასურველია, გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში.

4.4.

სასურველია, ბიუჯეტში ჩაიდოს მეტი ფინანსური რესურსი აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების, სტუდენტების მხარდაჭერისა თუ სხვა აქტივობების განხორციელების მიმართულებით და ასევე, სამეცნიერო ლიტერატურისა და ჟურნალ-გაზეთების შეძენისთვის.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

მისასალმებელია უნივერსიტეტის მაღალი დონის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საბიბლიოთეკო ინფრასტრუქტურა.

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს მაღალ დონეზე გამართული ელექტრონული სწავლების პორტალი, რომელიც პანდემიის პირობებში უზრუნველყოფს პროგრამის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის უწყვეტი და გამართული პროგრამული მომსახურების მაღალ ხარისხს.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

საგანმანათლებლო პროგრამა „საერთაშორისო ურთიერთობები“ ბსუ-ში შეიქმნა 2011 წელს და ამჟამად გადის რეაკრედიტაციის პროცესს (2011 წლის 25 ნოემბერს (გადაწყვეტილება N369) პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია ხუთი წლის ვადით. 2017 წლის 7 სექტემბრის N1881 მთავრობის განკარგულებით საბაკალავრო პროგრამას ხელახალი აკრედიტაციის ვადად განესაზღვრა 2021 წლის 31 დეკემბერი). 2017 წელს პროგრამას შეეცვალა მისანიჭებელი ხარისხი და განისაზღვრა „სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი საერთაშორისო ურთიერთობებში“ ნაცვლად „სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი საერთაშორისო ურთიერთობებში“.

რეაკრედიტაციის პროცესში, გარე და შიდა შეფასებების გათვალისწინებით, პროგრამაში განხორციელდა რიგი ცვლილებები (თუმცა, უცვლელი დარჩა პროგრამის მიზნები). კერძოდ, პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებული იყო დამატებითი სპეციალობა (minor), წარმოდგენილ პროგრამის სტრუქტურაში კი მაინორის კრედიტები ჩანაცვლდა სპეციალობის არჩევითი კურსებითა და თავისუფალი არჩევითი კურსებით. პროგრამის კურიკულუმს დაემატა რიგი სასწავლო კურსები, შეიცვალა ზოგიერთი სასწავლო კურსის საკრედიტო მოცულობა, განახლდა სასწავლო კურსების ლიტერატურა, გაძლიერდა ენების სწავლება.

მოსაზრებები უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის შესახებ

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ უსდ-მ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია. უსდ ეთანხმება 3 რეკომენდაციას, ნაწილობრივ ეთანხმება 1 რეკომენდაციას და არ იზიარებს 7 რეკომენდაციას. სააკრედიტაციო ჯგუფმა იმსჯელა წარმოდგენილი არგუმენტების შესახებ და წარმოდგენილ დასკვნაში უცვლელად რჩება რეკომენდაციები, რომელთა დეტალური განმარტება მოცემულია შესაბამისი ქვესტანდარტების აღწერილობით ნაწილებში. გარდა აღნიშნულისა, უსდ-მ წარმოადგინა არგუმენტაცია 2.3. ქვესტანდარტის შეფასებასთან დაკავშირებით. სააკრედიტაციო ჯგუფი იზიარებს წარმოდგენილ არგუმენტაციას და 2.3. ქვესტანდარტს აფასებს როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის „საერთაშორისო ურთიერთობები“ მიზნად ისახავს ფართო თეორიული ცოდნის მიცემას სფეროს სხვადასხვა ასპექტებისა და მომიჯნავე დარგების/ქვედარგების შესახებ (საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები, საერთაშორისო ეკონომიკისა და უსაფრთხოების სიტემები, დიპლომატია და საგარეო პოლიტიკის ანალიზი, საერთაშორისო სამართლის საფუძვლები, პოლიტიკის მეცნიერების სხვადასხვა ასპექტები, სხვა მომიჯნავე დარგების საფუძვლები და სხვ.); პროგრამის მიზნებში აქცენტი კეთდება სფეროს ინტერდისციპლინურობაზე, სხვადასხვა საკითხების ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ ჭრილში განხილვაზე; პროგრამის მიზნებში ასევე ასახულია მიღებული ცოდნის გაცნობიერება და მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარების განვითარება (მათ შორის, კრიტიკული და ანალიტიკური უნარები, ქართულ და უცხო ენაზე სხვადასხვა ტიპის კომუნიკაციის უნარი, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის უნარი და სხვ.); პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის სწავლების საფეხურის შესატყვისი მახასიათებლები (ღირებულებები, შემდგომი სწავლისა და მუშაობის დაგეგმვა, პროფესიული განვითარება და სხვ.). პროგრამის მიზნები ასევე ასახავს პროგრამის უსდ მისიასთან და შრომის ბაზართან შესაბამისობას (მათ შორის, ხაზგასმულია კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი სპეციალისტი და სხვ.) და კურსდამთავრებულის წვლილს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში (მაგ. სოციალური ერთიანობის, პროფესიული ეთიკის, კულტურული და მსოფლმხედველობრივი მრავალფეროვნების გააზრებით მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების აქტიურ მოქალაქედ ჩამოყალიბება და სხვ.) პროგრამის მიზნები ასახავს ინტერნაციონალიზაციის ელემენტებს (მაგ. უცხო ენაზე კომუნიკაციის უნარი, საერთაშორისოდ აღიარებული ღირებულებების გაცნობიერება და პატივისცემა) და შესაბამისობაშია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიასთან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **სასურველია**, ფორმულირება „მშობლიურ და უცხოურ ენებზე (ინგლისური და ერთ-ერთი სხვა ენა არჩევით) კომუნიკაციის უნარების განვითარება“ შეიცვალოს ფორმულირებით „მშობლიურ და ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის უნარების განვითარება“ მეორე უცხო ენის არჩევითი სტატუსის გათვალისწინებით.

პროგრამის მიზნები და აქტუალობა ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური

და მიღწევადია. პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ონლაინ ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუებით. აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიზნების შემუშავების პროცესში მონაწილეობდა გარე კონსულტანტიც (სტოკჰოლმის უნივერსიტეტი). პროგრამის მიზნები ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის და გახდება საჯაროდ წვდომადი უსდ ვებგვერდის საშუალებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა • თვითშეფასების ანგარიში • ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2024) • შრომის ბაზრის ანალიზი • სამუშაო ჯგუფის ოქმები • კურიკულუმის კომიტეტის სამუშაო გეგმა • ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი (2017) • საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია • უსდ იურიდიული და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დებულება; • საქართველოს უმაღლესი სასწავლებლის საგანმანთლებლო პროგრამების ანალიზი • უსდ ვებგვერდი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის **სასურველია,** ფორმულირება „მშობლიურ და უცხოურ ენებზე (ინგლისური და ერთ-ერთი სხვა ენა არჩევით) კომუნიკაციის უნარების განვითარება“ შეიცვალოს ფორმულირებით „მშობლიურ და ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის უნარების განვითარება“ მეორე უცხო ენის არჩევითი სტატუსის გათვალისწინებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების

გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;

- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები წარმოდგენილია ცოდნა-გაცნობიერების, უნარების და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის სახით. პროგრამის შედეგების წარმოდგენილი აღწერილობა შეესაბამება პროგრამის მიზნებს და პროგრამის სტრუქტურას, შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონესა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას და შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს. პროგრამის შედეგები რეალისტური და მიღწევადია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **სასურველია,** პროგრამის შედეგების ლაკონიური ფორმულირება.

პროგრამის შედეგების შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ონლაინ ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუებით.

პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადია. უსდ-ს შემუშავებული აქვს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები და პროცედურები. სწავლის შედეგები იზომება და ფასდება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით, რისთვისაც გამოიყენება რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევები. პირდაპირ მეთოდებში მოაზრებულია სტუდენტის ცოდნისა და უნარების გაზომვა (დავალებები, ტესტები და გამოცდები, საბაკალავრო ნაშრომი, პროფესიული პრაქტიკა), ხოლო არაპირდაპირი მეთოდები გულისხმობს დაინტერესებული მხარეების აღქმას, რამდენად კარგად აღწევენ სტუდენტები სწავლის შედეგებს (სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვების ანალიზი; გარე შეფასებები; ფოკუს ჯგუფები; სასწავლო პროცესის სხვადასხვა მაჩვენებლის ანალიზი, ე.წ. ბენჩმარკინგი, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან კურსდამთავრებულების კომპეტენციების შესაბამისობის ანალიზი და სხვ.) შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზისა და შეფასების შედეგების მონიტორინგისთვის პროგრამას განსაზღვრული აქვს სამიზნე ნიშნულები. სწავლის შედეგების შეფასებაზე დაყრდნობით დგება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელიც ახლდება შეფასების პროცესის ერთი სრული ციკლის დასრულების შემდეგ. ასევე, ფაკულტეტის ადმინისტრაცია ხარისხის სამსახურთან და შესაბამის დარგობრივ დეპარტამენტთან ერთად პერიოდულად ესწრება ლექციებს, პრეზენტაციებს, გამოცდებს.

სწავლების შედეგების შეფასებაში ჩართულია სხვადასხვა დაინტერესებული მხარე. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. უსდ-ში არსებული მექანიზმები ითვალისწინებს უკუკავშირის პროცესს.

პროგრამის მიზნები რეალისტური და მიღწევადია და შეესაბამება სწავლების საფეხურს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა
- კურიკულუმის რუკა სავალდებულო სასწავლო კურსები
- სასწავლო კურსების პროგრამის შედეგებთან ბმის რუკა

- საგანანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები
- პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები საბაკალავრო ნაშრომის/პროფესიული პრაქტიკის მიხედვით
- პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების კრიტერიუმები და ქულები
- სწავლის შედეგების რუკა
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა
- ფაკულტეტის საბჭოს და კურიკულუმის კომიტეტის ოქმები
- უსდ ხარისხის სამსახურის კვლევები
- ინტერვიუები
- უსდ ვებგვერდი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, პროგრამის შედეგების ლაკონური ფორმულირება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და უსდ რეგულაციების შესაბამისად. პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი განათლების მქონე პირი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. სფეროს სპეციფიკასთან შესაბამისია გადაწყვეტილება მისაღებ გამოცდებზე ინგლისური ენის (და არა უცხო ენის) ჩაბარების შესახებ. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სწავლის უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად. პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია შიდა და გარე მობილობით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ასახულია საგანმანათლებლო პროგრამაში, ასევე, მიღების წინაპირობები და სხვა პროცედურები თავსდება უსდ ვებგვერდზე პროგრამაზე მიღების გამოცხადების პერიოდში, ასევე უსდ ამზადებს საინფორმაციო ბუკლეტებს და კონსულტაციებს უწევს დაინტერესებულ პირებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში • ბსუ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი • საინფორმაციო ბუკლეტები და სარეკლამო რგოლი • ინტერვიუები • უსდ ვებგვერდი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის „საერთაშორისო ურთიერთობები“ სტრუქტურა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად და უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი (4 წელი/8 სემესტრი) რომელიც დაყოფილია შემდეგ კომპონენტებად: შესავალი სასწავლო კურსები (50 ECTS), ძირითადი სავალდებულო (130 ECTS), არჩევითი სასწავლო კურსები (50 ECTS), თავისუფალი კომპონენტი (10 ECTS). პროგრამაში წარმოდგენილია 74 სასწავლო კურსი (სავალდებულო/არჩევითი). სავალდებულო სასწავლო კურსების ნაწილში 6 კრედიტი ეთმობა პროფესიულ პრაქტიკას და 10 კრედიტი საბაკალავრო ნაშრომს.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებდა დამატებითი სპეციალობის (მაინორის) დაუფლებას სტუდენტის მიერ არჩეული დარგის მიმართულებით, თუმცა სტუდენტების და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგების საფუძველზე რეაკრედიტაციის პროცესში პროგრამის სტრუქტურაში განხორციელდა ცვლილებები და დამატებითი სპეციალობა ჩანაცვლდა სპეციალობის არჩევითი კურსებითა და თავისუფალი კომპონეტით. გარდა ამისა, რეაკრედიტაციის პროცესში პროგრამას დაემატა ზოგიერთი ახალი სასწავლო კურსი: საქართველო მსოფლიო ცივილიზაციის კონტექსტში; სოციოლოგიური კვლევის მეთოდები და კვლევის დიზაინი; კომუნიკაციის და პრეზენტაციის უნარ ჩვევები; ანალიზი, პროგნოზირება და გადაწყვეტილების პროცესი პოლიტიკაში; საერთაშორისო მიგრაცია და დემოგრაფია; საერთაშორისო პოლიტიკა და სტრატეგიული დაზვერვა და სხვ.

პროგრამის სტრუქტურაში დიდი ადგილი ეთმობა ენების სწავლებას, რაც სტრუქტურის დადებით მახასიათებლად მიგვაჩნია: 20 კრედიტი განსაზღვრულია სავალდებულო ინგლისური ენის სწავლებისთვის, 20 კრედიტი არჩევითი მეორე ენის სწავლებისთვის (ფრანგული, რუსული, გერმანული, თურქული ენები).

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი (მოცულობა და კომპლექსურობა) ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს და შეესაბამება სწავლების საფეხურს. აღსანიშნავია, რომ პროგრამის სტრუქტურის ჩამოყალიბების პროცესში გათვალისწინებულ იქნა ხუთი ეროვნული უნივერსიტეტის მსგავსი პროგრამების ანალიზი და გარკვეულწილად გათვალისწინებულ იქნა გარე შემფასებლების

რეკომენდაციები.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უმეტესწილად შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და სფეროს თანამედროვე მიღწევებს. პროგრამის შინაარსის პროგრამის სწავლის შედეგებთან და სფეროს სპეციფიკასთან სრული შესაბამისობისთვის, სააკრედიტაციო ჯგუფის მოსაზრებით, უნდა განხორციელდეს გარკვეული ცვლილებები პროგრამის სტრუქტურაში. კერძოდ, სავალდებულო სასწავლო კურსები „მსოფლიო პოლიტიკა 1“, „მსოფლიო პოლიტიკა 2“, „მსოფლიო პოლიტიკა 3“ თავისი შინაარსით და ძირითადი ლიტერატურით წარმოადგენს მსოფლიოს ისტორიის სასწავლო კურსებს, რომლებიც დაყოფილია პერიოდებად მსოფლიო ისტორიის მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით. გარდა ამისა, „მსოფლიო პოლიტიკა 2“ და „მსოფლიო პოლიტიკა 3“-ის ერთ კურსად გაერთიანება რეკომენდაციის სახით გაცემულია გარე შემფასებლის მიერ. სასწავლო კურსი „საქართველო მსოფლიო ცივილიზაციების კონტექსტში“ წარმოდგენილი შინაარსითა და ძირითადი ლიტერატურით გულისხმობს საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ასპექტებს უძველესი დროიდან ვიდრე საქართველოს ანექსიამდე. **რეკომენდებულია,** სასწავლო კურსები „მსოფლიო პოლიტიკა 1“, „მსოფლიო პოლიტიკა 2“, „მსოფლიო პოლიტიკა 3“ ჩამოყალიბდეს ორ სასწავლო კურსად (ნაცვლად სამისა) და აღნიშნული სასწავლო კურსები და ასევე, სასწავლო კურსი „საქართველო მსოფლიო ცივილიზაციების კონტექსტში“ გადავიდეს არჩევით კურსებში.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სტრუქტურაში საბაკალავრო ნაშრომი გათვალისწინებულია სავალდებულო სასწავლო კურსის სახით, „აკადემიური წერის საფუძვლები“ გვხვდება პროგრამის არჩევით ნაწილში. უსდ განმარტებით, აღნიშნული კურსის არჩევით ნაწილში გადატანა სტუდენტების მოთხოვნა იყო, რაც დადასტურდა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან განხორციელებული ინტერვიუებით. მათი განმარტებით, სასწავლო კურსი არ იყო საინტერესო და არ არის საჭირო მისი სავალდებულოდ გავლა. პროგრამის სტრუქტურის მიხედვით, „სოციოლოგიური კვლევის მეთოდები და კვლევის დიზაინი“ ერთადერთი სავალდებულო სასწავლო კურსია, რომელმაც სტუდენტებს უნდა ასწავლოს როგორც კვლევის მეთოდები, ასევე კვლევის დიზაინი. სათაურის, შინაარსის და ერთადერთი სავალდებულო ლიტერატურის მიხედვით, აღნიშნული სასწავლო კურსი წარმოადგენს სოციოლოგიურ კვლევის მეთოდებს, რაც არ არის სრულ შესატყვისობაში სფეროს სპეციფიკისთვის რელევანტურ კვლევის მეთოდებთან (კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში/პოლიტიკის მეცნიერებებში). აღსანიშნავია, რომ ორივე სასწავლო კურსის შესახებ მსგავსი შენიშვნები აქვს გამოთქმული უცხოელ გარე შემფასებელს. შესაბამისად, **რეკომენდებულია** პროგრამის სტრუქტურაში არსებული სავალდებულო სასწავლო კურსი „სოციოლოგიური კვლევის მეთოდები და კვლევის დიზაინი“ ჩანაცვლდეს ორი სავალდებულო სასწავლო კურსით: „აკადემიური წერა და კვლევის დიზაინი“ და „კვლევის მეთოდები პოლიტიკის მეცნიერებებში/სოციალურ მეცნიერებებში“ (რომლის შინაარსში წარმოდგენილი იქნება როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი მეთოდები).

პროგრამის წარმოდგენილი სტრუქტურით, სასწავლო კურსები „საინფორმაციო ტექნოლოგიები“ და „თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები“ არჩევითი კურსებია. საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლებით, სტუდენტი იღებს იმ აუცილებელ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, რაც სჭირდება სხვადასხვა დავალებების მოსამზადებლად. ასევე, კურსდამთავრებულების განმარტებით, მათთვის მნიშვნელოვანი იყო კომპიუტერული უნარ-ჩვევების დაუფლება, რადგან რაიონის სკოლებში აღნიშნული საგანი უმეტესად არ ისწავლება. „თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები“

აქცენტს აკეთებს ცივი ომის შემდგომ საერთაშორისო პოლიტიკის გამოწვევებზე, რაც მნიშვნელოვანი ინფორმაციაა სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით. აკრედიტაციის ჯგუფის მოსაზრებით, **რეკომენდებულია**, სასწავლო კურსების „საინფორმაციო ტექნოლოგიები“ და „თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები“ სტრუქტურის სავალდებულო ნაწილში გადმოტანა.

წარმოდგენილ პროგრამის სტრუქტურაში გვხვდება სავალდებულო სასწავლო კურსი „საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის საფუძვლები“, რომლის წინაპირობაა „საერთაშორისო ურთიერთობების საფუძვლები“. პროგრამაში არ არის წარმოდგენილი „ეკონომიკის საფუძვლები“, რომელმაც უნდა შექმნას აუცილებელი წინაპირობა ისეთი სასწავლო კურსებისთვის, როგორიცაა „საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის საფუძვლები“, და „გეოეკონომიკა და გეოსტრატეგია“. აღნიშნული საკითხი ხაზგასმულია უცხოელი გარე შემფასებლის დასკვნაშიც. შესაბამისად, **რეკომენდებულია,** პროგრამის სტრუქტურის სავალდებულო ნაწილს დაემატოს სასწავლო კურსი „ეკონომიკის საფუძვლები“ რომელიც უნდა განისაზღვროს წინაპირობად სასწავლო კურსებისთვის როგორიცაა „საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის საფუძვლები“, და „გეოეკონომიკა და გეოსტრატეგია“.

პროგრამის სტრუქტურაში სასწავლო კურსები არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული, დაშვების წინაპირობები არის ადეკვატური. მიუხედავად აღნიშნულისა, **სასურველია,** სასწავლო კურსს „შედარებითი პოლიტიკა“ რომლის წინაპირობაა „პოლიტიკა (ზოგადი კურსი)“ წინაპირობად დაემატოს კიდევ ერთი სასწავლო კურსი: „რეგიონთმცოდნეობის საფუძვლები“.

პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუებით.

უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი
- „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“
- ფაკულტეტის საბჭოსა და კურიკულუმის კომიტეტის სხდომების ოქმები
- შრომის ბაზრის კვლევა
- საქართველოს უმაღლესი სასწავლებლის საგანამანთლებლო პროგრამების ანალიზი
- გარე შემფასებლების დასკვნები
- უსდ ვებგვერდი

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, სასწავლო კურსები „მსოფლიო პოლიტიკა 1“, „მსოფლიო პოლიტიკა 2“, „მსოფლიო პოლიტიკა 3“ ჩამოყალიბდეს ორ სასწავლო კურსად (ნაცვლად სამისა) და აღნიშნული სასწავლო კურსები და ასევე, სასწავლო კურსი „საქართველო მსოფლიო ცივილიზაციების კონტექსტში“ გადავიდეს არჩევით კურსებში.

რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურაში არსებული სავალდებულო სასწავლო კურსი „სოციოლოგიური კვლევის მეთოდები და კვლევის დიზაინი“ ჩანაცვლდეს ორი სავალდებულო სასწავლო კურსით: „აკადემიური წერა და კვლევის დიზაინი“ და „კვლევის მეთოდები პოლიტიკის მეცნიერებებში/სოციალურ მეცნიერებებში“ (რომლის შინაარსში წარმოდგენილი იქნება როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი

მეთოდები). **რეკომენდებულია**, სასწავლო კურსების „საინფორმაციო ტექნოლოგიები“ და „თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები“ სტრუქტურის სავალდებულო ნაწილში გადმოტანა. **რეკომენდებულია,** პროგრამის სტრუქტურის სავალდებულო ნაწილს დაემატოს სასწავლო კურსი „ეკონომიკის საფუძვლები“ რომელიც უნდა განისაზღვროს წინაპირობად სასწავლო კურსებისთვის „საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის საფუძვლები“ და „გეოეკონომიკა და გეოსტრატეგია“.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის **სასურველია,** სასწავლო კურსს „შედარებითი პოლიტიკა“ რომლის წინაპირობაა „პოლიტიკა (ზოგადი კურსი)“ წინაპირობად დაემატოს კიდევ ერთი სასწავლო კურსი: „რეგიონთმცოდნეობის საფუძვლები“.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა „საერთაშორისო ურთიერთობები“ წარმოდგენილია 74 სილაბუსით (სავალდებულო, არჩევითი). სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სილაბუსების უმეტესი ნაწილის სწავლის შედეგები შედგება ცოდნა-გაცნობიერებისა და უნარების ნაწილებისგან, რამდენიმე სილაბუსის შედეგები ასევე გულისხმობს პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპეტენციებსაც. ექსპერტთა ჯგუფის დაკვირვებით, ზოგიერთ სასწავლო კურსს, რომელიც შინაარსიდან გამომდინარე ორიენტირებულია პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და მიღებული უნარის დამოუკიდებლად გამოყენებაზე,

არ აქვს წარმოდგენილი ავტონომიურობა-პასუხიმგებლობის ნაწილი სწავლის შედეგებში (მაგ. „კომუნიკაციისა და პრეზენტაციის უნარ ჩვევები“, „მოლაპარაკების მეთოდები და საერთაშორისო პრაქტიკა“, „დიპლომატიური პროტოკოლი და ეტიკეტი“). **სასურველია,** სწავლის შედეგებში ასახული იყოს პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილი იმ სასწავლო კურსებისთვის, რომლებიც შინაარსიდან გამომდინარე ორიენტირებულია პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის სწავლების საფეხურის შესაბამისი ასპექტების განვითარებაზე. ასევე, სილაბუსებში „პროფესიული პრაქტიკა“; „საბაკალავრო ნაშრომი“ და სხვ. სწავლის შედეგების პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის ნაწილი დასათაურებულია როგორც „კომპეტენციები“, რაც ტექნიკურ შეცდომად მიგვაჩნია. **სასურველია,** გასწორდეს ტექნიკური შეცდომები და სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგების „კომპეტენციების“ ნაწილს გადაერქვას „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“.

პროგრამის სასწავლო კურსებს მინიჭებული აქვს სხვადასხვა კრედიტი (4,5,6,10). აქედან 10 კრედიტი მინიჭებული აქვს საბაკალავრო ნაშრომსა და უცხო ენების შემსწავლელ კურსებს, 6 კრედიტი პროფესიულ პრაქტიკასა და დარგის შემსწავლელ ძირითად საგნებს („სისტემური საერთაშორისო ურთიერთობები“, „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები“). კრედიტების აღნიშნული გადანაწილება სრულიად ლოგიკურია სილაბუსების შინაარსის, საკონტაქტო საათებისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით; ადეკვატურია თანაფარდობა საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის (საკონტაქტო საათებს ძირითადად ეთმობა 45/60 საათი). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიული პრაქტიკა პროგრამის კურიკულუმსა და თვითშეფასების დოკუმენტში წარმოდგენილია, როგორც 6 კრედიტიანი საგანი, ხოლო თავად სილაბუსის მიხედვით პროფესიული პრაქტიკა 5 კრედიტიანია (150 საათი). გარდა აღნიშნულისა, სასწავლო კურსს „შედარებითი პოლიტიკა“ (სათაური კურიკულუმის მიხედვით) სილაბუსის მიხედვით ეწოდება „შედარებითი პოლიტიკა - თეორია და პრაქტიკა“. სილაბუსის თეორიული შინაარსიდან გამომდინარე, სწორედ კურიკულუმში მოცემული სახელწოდებაა ადეკვატური, თუმცა პროგრამასა და სილაბუსებში დაცული უნდა იყოს სინქრონი როგორც სასწავლო კურსების სათაურებთან, ასევე კრედიტებთან მიმართებით. გარდა აღნიშნულისა, სასწავლო კურსი „საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის საფუძვლები“ პროგრამის კურიკულუმში, სილაბუსის სათაურსა და სილაბუსის თემატურ დანართში იყენებს სხვადასხვა ტერმინს (ეკონომიკა/ეკონომია). სასურველია, ტერმინი გამოყენებულ იქნას ერთი და იმავე ვერსიით პროგრამის სხვადასხვა შემდგენელ ნაწილებში. **რეკომენდებულია,** პროგრამის სტრუქტურა და სასწავლო კურსების სილაბუსები მოვიდეს ურთიერთშესაბამისობაში და თავიდან იქნას აცილებული ტექნიკური თუ შინაარსობრივი ხარვეზები.

შეკითხვას ბადებს ზოგიერთი ცალკეული სილაბუსის შინაარსის სათაურთან შესაბამისობა, შინაარსის სწავლის მიზანთან შესაბამისობა, შინაარსის ლიტერატურასთან შესაბამისობა, მაგალითად, სასწავლო კურსი „სოციოლოგიური კვლევის მეთოდები და კვლევის დიზაინი“ სათაურის, შინაარსის და ერთადერთი სავალდებულო ლიტერატურის მიხედვით წარმოადგენს სოციოლოგიურ კვლევის მეთოდებს, რაც არ არის სრულ შესატყვისობაში სფეროს სპეციფიკისთვის რელევანტურ კვლევის მეთოდებთან (კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში/პოლიტიკის მეცნიერებებში). გარდა აღნიშნულისა, სასწავლო კურსი პროგრამის სტრუქტურაში განსაზღვრულია როგორც ერთადერთი სავალდებულო სასწავლო კურსი, რომელმაც სტუდენტებს უნდა ასწავლოს როგორც კვლევის მეთოდები, ასევე კვლევის დიზაინი. აღნიშნულ სასწავლო კურსთან დაკავშირებით რეკომენდაცია გაცემულია 2.2. ნაწილში.

სავალდებულო სასწავლო კურსები „მსოფლიო პოლიტიკა 1“, „მსოფლიო პოლიტიკა 2“, „მსოფლიო პოლიტიკა 3“ თავისი შინაარსით და ძირითადი ლიტერატურით წარმოადგენს მსოფლიოს ისტორიის სასწავლო კურსებს, რომლებიც დაყოფილია პერიოდებად მსოფლიო ისტორიის მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით. აღნიშნული სასწავლო კურსების საფუძველზე ორი სილაბუსის ჩამოყალიბებისა (ნაცვლად სამისა) და მათი პროგრამის სავალდებულო ნაწილიდან არჩევით ნაწილში გადატანის შესახებ რეკომენდაცია გაცემულია 2.2 კომპონენტში. გარდა სტატუსის შეცვლისა, უნდა მოხდეს სასწავლო კურსებისთვის შესაფერისი სათაურის შერჩევა.

სასწავლო კურსი „სისტემური საერთაშორისო ურთიერთობები“ თავისი შინაარსით უფრო შეესაბამება „საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიას“ (შინაარსი იწყება ძველი მსოფლიო ისტორიის თემებით, ხოლო თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებს ეძღვნება მხოლოდ ბოლო ერთი სასწავლო თემა; გარდა აღნიშნულისა საერთაშორისო ურთიერთობების სისტემატიზაციის პირველი ნიშნები ყველა საერთაშორისო კლასიფიკაციით არ აღინიშნება ვესტფალიურ სისტემამდე) და უნდა მოხდეს სასწავლო კურსისთვის შინაარსის შესაბამისი სათაურის შერჩევა (მაგ, საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია. სასწავლო კურსი „საქართველო მსოფლიო ცივილიზაციების კონტექსტში“ წარმოდგენილი შინაარსითა და ძირითადი ლიტერატურით გულისხმობს საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ასპექტებს უძველესი დროიდან ვიდრე საქართველოს ანექსიამდე. აღნიშნული სასწავლო კურსის სავალდებულო სტატუსის ცვლილების შესახებ რეკომენდაცია გაცემულია 2.2. ნაწილში, თუმცა, გარდა სტატუსის ცვლილებისა, უნდა მოხდეს სილაბუსისთვის შინაარსის შესაბამისი სათაურის შერჩევა. შესაბამისად, **რეკომენდებულია,** სასწავლო კურსებს „მსოფლიო პოლიტიკა 1-2“; „სისტემური საერთაშორისო ურთიერთობები“; „საქართველო მსოფლიო ცივილიზაციების კონტექსტში“ მოეძებნოს შინაარსის შესატყვისი სათაურები.

სასწავლო კურსის „რეგინთმცოდნეობის საფუძვლები“ სწავლების მიზნის მიხედვით, ორიენტირებულია სტუდენტებს გააცნოს სხვადასხვა რეგიონის პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ასპექტები. სფეროს სპეციფიკისა და პროგრამის მიზნებისა და შედეგების გათვალისწინებით, სასწავლო კურსის მიზნები სწორად არის განსაზღვრული, თუმცა სილაბუსის შინაარსი ძირითადად ორიენტირებულია სხვადასხვა რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული მახასიათებლების შესწავლაზე. სასწავლო კურსის „რეგინთმცოდნეობის საფუძვლები“ შინაარსში უნდა განხორციელდეს ცვლილებები და სილაბუსი შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის სათაურთან და სილაბუსის მიზნებთან.

სასწავლო კურსში „პოლიტიკა (ზოგადი კურსი)“ გაწერილი სალექციო თემების მიხედვით, ჯერ ისწავლება დემოკრატიის არსი და შემდეგ სახელმწიფოს არსი. გარდა აღნიშნულისა, სასწავლო თემას „საშინაო პოლიტიკა“ მოყვება თემა „გლობალური პოლიტიკა“ და შემდეგ მრავლობითი თემები საშინაო პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტის (პოლიტიკური კულტურა, ინსტიტუტები, პარტიები და სხვ.) გათვალისწინებით. უნდა განხორციელდეს სასწავლო კურსში „პოლიტიკა (ზოგადი კურსი)“ შინაარსობრივი ცვლილებები სხვადასხვა თემების ლოგიკური ბმის გათვალისწინებით.

სასწავლო კურსის „შედარებითი პოლიტიკა“ სილაბუსის თემების ნაწილი იმეორებს სასწავლო კურსის „პოლიტიკა (ზოგადი კურსი)“ თემატიკას. შესაბამისად, უნდა მოხდეს სილაბუსის შინაარსის ცვლილება იმგვარად, რომ ერთის მხრივ თავიდან იქნას აცილებული შინაარსობრივი გადაფარვები, და მეორეს მხრივ, გათვალისწინებულ იქნას შედარებითი პოლიტიკის ქვედარგის ყველაზე აქტუალური საკითხები. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, **რეკომენდებულია,** სასწავლო კურსებში „პოლიტიკა

(ზოგადი კურსი)“, „რეგიონთმცოდნეობის საფუძვლები“, „შედარებითი პოლიტიკა“ განხორციელდეს შინაარსობრივი ცვლილებები.

სფეროს სპეციფიკისა და პროგრამის კვალიფიკაციის გათვალისწინებით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ორი სასწავლო კურსი („შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში“ და „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები“) რომელთა საფუძველზე სტუდენტმა უნდა შეიძინოს სფეროს ძირითადი დარგობრივი ცოდნა, ხოლო VIII სემესტრში მომზადებული საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგინოს საერთაშორისო ურთიერთობების რომელიმე თეორიის შუქზე. სილაბუსის „შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში“ მხოლოდ პირველი კვირა ითვალისწინებს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების მიმოხილვას. სილაბუსის „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები“ შინაარსი მოიაზრებს ქრესტომათიიდან წყაროების განხილვას, თუმცა არ არის დაკონკრეტებული კონკრეტულად რომელი წყაროების. **რეკომენდებულია,** სასწავლო კურსების „შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში“ და „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები“ შინაარსების სინქრონი იმ სახით, რომ უზრუნველყოფილ იქნას საერთაშორისო ურთიერთობების ყველა ძირითადი თეორიისა და სკოლის განხილვა.

სასწავლო კურსში „საერთაშორისო უსაფრთხოება და წესრიგი“ როგორც ჩანს, „წესრიგი“ გამოხატავს საერთაშორისო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ასპექტს და არა საერთაშორისო წესრიგს (უნიპოლარიზმი, ბიპოლარიზმი, მულტიპოლარიზმი) და მასთან საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხების მიმართებას, რაც თავისთავად რთული და სიღრმისეული საგანი იქნებოდა სწავლების საფეხურის გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სილაბუსის და ასევე, სასწავლო კურსის „გეოეკონომიკა და გეოსტრატეგია“ დავიწროება გაცემულია როგორც რეკომენდაცია უცხოელი შემფასებლის დასკვნაში. ასევე, სასწავლო კურსის „საერთაშორისო პოლიტიკა და სტრატეგიული დაზვერვა“ შინაარსი ძირითადად მოიაზრებს დაზვერვის საკითხებს. გარდა ამისა, აღნიშნული სათაურის შესაბამისი შინაარსი სავარაუდოდ უნდა გულისხმობდეს უკვე მიღებული თეორიული ცოდნის საფუძველზე სხვადასხვა ქვედარგების ერთმანეთთან ანალიზის დონეზე დაკავშირებას, რაც ცდება სწავლების საფეხურის მოთხოვნებს. შესაბამისად, **რეკომენდებულია,** დავიწროვდეს სასწავლო კურსების „საერთაშორისო უსაფრთხოება და წესრიგი“; „გეოეკონომიკა და გეოსტრატეგია“; „საერთაშორისო პოლიტიკა და სტრატეგიული დაზვერვა“ სათაურები და განხორციელდეს თანმდევი შინაარსობრივი ცვლილებები.

უნდა აღინიშნოს, რომ სილაბუსების შინაარსის აღქმადობას ართულებს წარმოდგენილი სილაბუსების დანართების მინიმალისტური ფორმა, სადაც სალექციო თემა წარმოდგენილია მხოლოდ სათაურით სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით, სადაც ბევრი საკითხი ინტერდისციპლინურია, ერთი და იმავე სათაურის ქვეშ შესაძლოა სხვადასხვა ქვესაკითხი მოიაზრებოდეს. გარდა აღნიშნულისა, სილაბუსების უმეტეს ნაწილში არ არის წარმოდგენილი ლიტერატურის მითითება თემებთან მიმართებით, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც წარმოდგენილია მრავლობითი ლიტერატურა. ინტერვიუების პროცესში აღინიშნა, რომ უსდ-ში არსებობდა პრაქტიკა სილაბუსების დანართებში თემების გავრცობილი სახით წარმოდგენის და თემების მიხედვით ლიტერატურის მითითების, თუმცა ეს პრაქტიკა შეიცვალა, რაც ხელს უწყობს სტუდენტების უნარების გაუმჯობესებას თავად მოიძიონ საკითხის შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა ლიტერატურაში. გარდა აღნიშნულისა, დაინტერესებული მხარეების არგუმენტაციით, ლექტორები ლიტერატურას ტვირთავენ ყოველკვირეულად სტუდენტურ პორტალზე.

იმ სასწავლო კურსებში, სადაც ლიტერატურა მითითებულია კვირების მიხედვით (და

ასეთი სასწავლო კურსები უმცირესობაშია) ფიქსირდება სხვადასხვა სახის უზუსტობები. მაგ., სასწავლო კურსი „რელიგიური ფუნდამენტალიზმი ისლამურ ქვეყნებში“ ეყრდნობა 8 დასახელების ლიტერატურას, თუმცა თემების მიხედვით გამოყენებულია მხოლოდ 5. სასწავლო კურსში „დიპლომატიური პროტოკოლი და ეტიკეტი“ ძირითადი ლიტერატურა ითვალისწინებს 6 ჩამონათვალს, დამხმარე ლიტერატურა კიდევ ორს (N 7,8). თემების მიხედვით წარმოდგენილ დანართში სავალდებულოდ მითითებული აქვს დამატებითი ლიტერატურაც და სხვა მსგავსი მაგალითები.

სააკრედიტაციო ჯგუფის შეფასებით, სფეროს სპეციფიკისა და სწავლების საფეხურის გათვალისწინებით, **რეკომენდებულია,** საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სილაბუსის დანართში მოხდეს წარმოდგენილი სალექციო თემატიკის დეტალიზაცია და თემების შესატყვისი ძირითადი ლიტერატურის მითითება.

მისასალმებელია უსდ ინიციატივა სალექციო კურსებისა და რიდერების მომზადების, განსაკუთრებით იმ სალექციო კურსებისთვის, რომლის შესაფერისი ლიტერატურა მწირია ქართულ ენაზე, თუმცა თავიდან უნდა იქნას არიდებული სილაბუსის მხოლოდ ერთ, ლექტორის მიერ მომზადებულ სალექციო კონსპექტზე დაყრდნობა მაგ. („სტრატეგიული კომუნიკაცია“). ასევე, ზოგიერთ სილაბუსში, მიუხედავად მითითებული სხვადასხვა ლიტერატურისა, ჩნდება ეჭვი, რომ პრაქტიკაში გამოყენებულია მხოლოდ ერთი სასწავლო სახელმძღვანელო ან მხოლოდ რიდერი. მაგ., სასწავლო კურსის „პოლიტიკური იდეოლოგიები“ ძირითად ლიტერატურაში მითითებულია 6 დასახელების ლიტერატურა, თუმცა სილაბუსის შინაარსი მიყვება მხოლოდ ერთი სახელმძღვანელოს სარჩევს. სასწავლო კურსის „საერთაშორისო უსაფრთხოება და წესრიგი“ ძირითადი ლიტერატურა განსაზღვრულია 6 ერთეულით, ხოლო თემების სალექციო ბადეში გამოყენებულია მხოლოდ 4 მათგანი. მითითებული 6 ერთეული ლიტერატურიდან 5 ეხება მხოლოდ საქართველოსა და რეგიონს და მხოლოდ ერთი ლიტერატურა (რიდერი) ითვალისწინებს გლობალური ხასიათის საკითხებს სილაბუსის თემატიკის შესაბამისად.

სასწავლო კურსი „საერთაშორისო პოლიტიკა და სტრატეგიული დაზვერვა“ ძირითად ლიტერატურაში მითითებულია მხოლოდ ერთი სახელმძღვანელო (THE ART OF DIPLOMACY AND INTELLIGENCE AS A MEANS OF THE FOREIGN POLICY OF THE STATE. V. I. Vinokurov 2020). სახელმძღვანელოს აღნიშნული მითითება უნდა გულისხმობდეს რუსულენოვანი სახელმძღვანელოს (Владимир Винокуров. Искусство дипломатии и разведки как средств внешней политики государства: Монография. – М.: Русская панорама, 2020. – 256 с.) ინგლისურ ენოვან თარგმანს. აღნიშნული სახელმძღვანელოს ინგლისურ ენაზე სრული სახით გამოცემა არ დასტურდება არც ერთი სამეცნიერო საძიებო სისტემით. გარდა აღნიშნულისა, სახელმძღვანელო (რომელიც ეყრდნობა ერთი ქვეყნის სადაზვერვო ხედვასა და კონცეფციას) შესაძლებელია გამოყენებულ იქნას როგორც მხოლოდ ერთ-ერთი და არა ერთადერთი ძირითადი ლიტერატურა.

სასწავლო კურსის „სამოქალაქო აქტივიზმი მოქმედებაში“ ძირითად ლიტერატურაში მითითებულია 3 დასახელების ლიტერატურა. აქედან პირველი წარმოადგენს სასკოლო სამოქალაქო განათლებისთვის განკუთვნილ პრეზენტაციებს, მეორე წარმოადგენს მცირე ზომის ჟურნალისტურ სტატიას, ხოლო მესამე ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში აპრობირებულ სახელმძღვანელოს, თუმცა მისი შინაარსი ვერ უზრუნველყოფს სილაბუსით გათვალისწინებული თემების სრულად სწავლებას.

გარდა აღნიშნულისა, პროგრამის სილაბუსებში გამოყენებულ ძირითად ლიტერატურაში ხშირად მეორდება ერთი და იგივე წიგნები, გამოყენებულია ძველი

გამოცემის წიგნები, მხოლოდ ქართველი ავტორების მიერ შექმნილი წიგნები და ა.შ. მიუხედავად პროგრამის სტრუქტურით გათვალისწინებული ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლებისა, თითქმის არ გვხვდება ინგლისურენოვანი ლიტერატურის გამოყენება. აღნიშნული ხარვეზი მოხსენიებულია თვითშეფასების ანგარიშშიც (როგორც სამომავლო სტრატეგია). გარდა აღნიშნულისა, წარმოდგენილი სასწავლო კურსების ლიტერატურა არ ითვალისწინებს ბოლო ათწლეულის ტენდენციას, როდესაც გამრავლდა და გამრავალფეროვნდა ინტერნეტ რესურსები როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენებზე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ გარდა ძირითადი ლიტერატურისა, მრავალფეროვანი უნდა იყოს დამატებითი ლიტერატურაც, რომელსაც სტუდენტი გამოიყენებს სხვადასხვა ტიპის დავალების მომზადების პროცესში. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, **რეკომენდებულია,** პროგრამის სილაბუსებში ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის განახლება ახალი გამოცემებით, ნათარგმნი წიგნებით, ინგლისურენოვანი წიგნებით, პოლიტიკის დოკუმენტებით, ინტერნეტ-რესურსებით (ვიდეო ლექციები, კვლევითი ორგანიზაციების ვებგვერდები, სასარგებლო ბმულები (კანონებისა და სხვადასხვა უწყებების საქმიანობის გასაცნობად), საერთაშორისო ორგანიზაციების ვებგვერდები და სხვ.) „საბაკალავრო ნაშრომის“ სილაბუსში არ არის აქცენტი გაკეთებული საბაკალავრო თემის საერთაშორისო ურთიერთობების რომელიმე თეორიასთან/სკოლასთან დაკავშირების აუცილებლობაზე. რადგან უკვე დაცული საბაკალავრო ნაშრომების ნახვის შესაძლებლობა სააკრედიტაციო ჯგუფს არ მიეცა გადამოწმებისთვის, **სასურველია,** საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში აისახოს საბაკალავრო თემის საერთაშორისო ურთიერთობების თეორიასთან/სკოლასთან დაკავშირების აუცილებლობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით; • კურიკულუმის რუკა; • სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები; • გარე შემფასებლების დასკვნები • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: **რეკომენდებულია,** პროგრამის სტრუქტურა და სასწავლო კურსების სილაბუსები მოვიდეს ურთიერთშესაბამისობაში და თავიდან იქნას აცილებული ტექნიკური თუ შინაარსობრივი ხარვეზები. **რეკომენდებულია,** სასწავლო კურსებს „მსოფლიო პოლიტიკა 1-2“; „სისტემური საერთაშორისო ურთიერთობები“; „საქართველო მსოფლიო ცივილიზაციების კონტექსტში“ მოეძებნოს შინაარსის შესატყვისი სათაურები. **რეკომენდებულია,** სასწავლო კურსებში „პოლიტიკა (ზოგადი კურსი)“, „რეგიონთმცოდნეობის საფუძვლები“, „შედარებითი პოლიტიკა“ განხორციელდეს შინაარსობრივი ცვლილებები. **რეკომენდებულია,** სასწავლო კურსების „შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში“ და „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები“ შინაარსების სინქრონი იმ სახით, რომ უზრუნველყოფილ იქნას საერთაშორისო ურთიერთობების ყველა ძირითადი თეორიისა და სკოლის განხილვა. **რეკომენდებულია,** დავიწროვდეს სასწავლო კურსების „საერთაშორისო უსაფრთხოება და წესრიგი“; „გეოეკონომიკა და გეოსტრატეგია“; „საერთაშორისო პოლიტიკა და სტრატეგიული დაზვერვა“ სათაურები და განხორციელდეს თანმდევი შინაარსობრივი ცვლილებები.

რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სილაბუსის დანართში მოხდეს წარმოდგენილი სალექციო თემატიკის დეტალიზაცია და თემების შესატყვისი ძირითადი ლიტერატურის მითითება.

რეკომენდებულია, პროგრამის სილაბუსებში ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის განახლება ახალი გამოცემებით, ნათარგმნი წიგნებით, ინგლისურენოვანი წიგნებით, პოლიტიკის დოკუმენტებით, ინტერნეტ-რესურსებით (ვიდეო ლექციები, კვლევითი ორგანიზაციების ვებგვერდები, სასარგებლო ბმულები (კანონებისა და სხვადასხვა უწყებების საქმიანობის გასაცნობად), საერთაშორისო ორგანიზაციების ვებგვერდები და სხვ.)

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, სწავლის შედეგებში ასახული იყოს პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილი იმ სასწავლო კურსებისთვის, რომლებიც შინაარსიდან გამომდინარე ორიენტირებულია პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობისა სწავლების საფეხურის შესაბამისი ასპექტების განვითარებაზე.

სასურველია, გასწორდეს ტექნიკური შეცდომები და სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგების „კომპეტენციების“ ნაწილს გადაერქვას „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“.

სასურველია, საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში აისახოს საბაკალავრო თემის საერთაშორისო ურთიერთობების თეორიასთან/სკოლასთან დაკავშირების აუცილებლობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითა-რებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგების საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროგრამა შემუშავებულია იმგვარად, რომ უზრუნველყოს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარება. პროგრამის რამდენიმე სასწავლო კურსი

ემსახურება პრაქტიკული უნარების განვითარებას. აღნიშნული უნარების განვითარებას ემსახურება სწავლა-სწავლების სხვადასხვა მეთოდების გამოყენება. საფეხურის მერვე სემესტრი მთლიანად ეთმობა პრაქტიკული, სამეცნიერო და ტრანსფერული უნარების განვითარებას. ასევე, პროგრამით გათვალისწინებულია პრაქტიკა იმ ორგანიზაციებში, რომლებთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები. სტუდენტები პრაქტიკის განმავლობაში ადგენენ ჩატარებული სამუშაოს შესაბამის დღიურს, რომლის დაცვასაც ახორციელებენ საჯაროდ პრაქტიკის დასრულების შემდგომ. სტუდენტების საბაკალავრო ნაშრომებს ხელმძღვანელობენ და ზედამხედველობას უწევენ კვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები და დარგის სპეციალისტები. აღნიშნული დასტურდება მათი პირადი საქმეების შემოწმებით. მიუხედავად აღნიშნულისა, პროგრამის პრაქტიკის კომპონენტი დახვეწას მოითხოვს, რათა კურსდამ-თავრებულებმა უკეთ შეძლონ პროგრამის შესწავლის პროცესში მიღებული პრაქტიკული უნარების დახვეწა და პრაქტიკის გავლის პროცესში პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება. შესაბამისად, **სასურველია,** დაიხვეწოს პრაქტიკის კომპონენტი და პრაქტიკის გავლის პროცესში აქცენტი გაკეთდეს პროგრამის სასწავლო კურსებით შეძენილი პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაზე.

ასევე, უსდ-ში ფუნქციონირებს სტუდენტთა სამეცნიერო კლუბი, რომელიც ხელს უწყობს, სტუდენტების სამეცნიერო აქტიურობას, თუმცა, როგორც სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებიდან გამოჩნდა, ეს მიმართულება გასაძლიერებელია და მათი სურვილია, რომ სამეცნიერო ცხოვრება კიდევ უფრო გააქტიურდეს. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა, აკადემიურმა პერსონალმა და სტუდენტებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს, რომ დაინტერესების შემთხვევაში სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში. **სასურველია,** გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში.

ექსპერტთა აზრით, პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; პროგრამის კომპონენტების სილაბუსები, მათ შორის პრაქტიკის და საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსები;
- პრაქტიკის დღიურები;
- საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესი;
- პრაქტიკის ჩატარების და შეფასების წესი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პრაქტიკის ხელშეკრულებები/მემორანდუმები;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებლებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: **სასურველია,** დაიხვეწოს პრაქტიკის კომპონენტი და პრაქტიკის გავლის პროცესში აქცენტი გაკეთდეს პროგრამის სასწავლო კურსებით შეძენილი პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაზე. **სასურველია,** გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შესაძლებელია ითქვას, რომ პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას;

საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს სწავლა-სწავლების სხვადასხვა მეთოდებს და იგი ძირითადად ორიენტირებულია როგორც თეორიული (ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი, დისკუსია/დებატები, ახსნა–განმარტებითი, წერითი მუშაობის მეთოდები), პრაქტიკული (ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, დემონსტრირების მეთოდი), ზოგადი (ჯგუფური/გუნდური მუშაობა) და დარგობრივი (შემთხვევის ანალიზი, პროექტის მომზადება, ანალიზის, დამოუკიდებლად წიგნზე/წყაროზე მუშაობა) სასწავლო მასალის ადეკვატურად ათვისებაზე. სწავლებისთვის შემოთავაზებულ სხვადასხვა მეთოდებთან ერთად პროგრამა ასევე იყენებს შეფასების მრავალფეროვან მეთოდებსაც, რომლებიც თანხვედრაშია და შეესაბამება კურსის ფარგლებში გამოყენებულ სწავლების მეთოდებს.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ისინი, ასევე, ითვალისწინებენ სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. დოკუმენტების შესწავლამ დაადასტურა, რომ საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება/მომზადდება სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (სტუდენტთა შეფასების სისტემა, საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო კურსის სილაბუსები) შესწავლისას დადგინდა, რომ შეფასების სისტემა მრავალკომპონენტიანია. ის შედგება შუალედური და დასკვნითი შეფასებებისგან. პროგრამაში გამოყენებული სტუდენტის შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე და საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისი. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულას შეადგენს, საიდანაც შუალედურ შეფასებას შეიძლება დაეთმოს მინიმუმ 40 და მაქსიმუმ 60 ქულა (შუალედური გამოცდა - 20, ხოლო მიმდინარე შეფასება - მაქსიმუმ 40 ქულა) და დასკვნით გამოცდას - მინიმუმ 40 ქულა. პროცესში ჩართულობის ამაღლებისა და სწავლის უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტში დადგენილია შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 35% (60 ქულის შემთხვევაში - 21 ქულა), დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 50% (40 ქულის შემთხვევაში - 20 ქულა); როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ინტერვიუდან გამოჩნდა, შუალედური და დასკვნითი შეფასებებისას გამოიყენება გამოკითხვის სხვადასხვა მეთოდები: ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა; პრაქტიკული/თეორიული დავალება და ა.შ. საბაკალავრო ნაშრომის (მომზადება, გაფორმება, დაცვა) შეფასებისათვის განსაზღვრულია 100 ქულა და ის ნაწილდება რამდენიმე კომპონენტზე. საბაკალავრო კომისიის წინაშე წარმოდგენილი ნაშრომის პრეზენტაცია ფასდება მაქსიმუმ 40 ქულით. შუალედური შეფასების ხვედრითი წილია მაქსიმუმ 60 ქულა. შუალედური შეფასება მოიცავს: ა) შუალედურ, საბაკალავრო ნაშრომის მიმდინარეობის

შეფასებას -30 ქულა; (აფასებს ხელმძღვანელი); ბ) რეცენზენტის შეფასება - 30 ქულა. 8. ნაშრომის დასკვნითი შეფასება ხორციელდება საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის წინაშე. დაცვა არის საჯარო. რაც შეეხება პრაქტიკის შეფასებას, ის გამჭვირვალე და სტუდენტზე ორიენტირებულია. შეფასებას ექვემდებარება პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტის აქტივობა (მაქს. ქულა - 60, ფასდება ბსუ-დან პრაქტიკის ხელმძღვანელის და ორგანიზაციიდან პრაქტიკის მენტორის მიერ, თითოეული 30 ქულით) და პრაქტიკის ანგარიში (შესრულება და დაცვა) (მაქს. ქულა - 40).

საბაკალავრო ნაშრომის დაცვამდე სტუდენტი ვალდებულია შესაბამის სემესტრში, არაუგვიანეს მე-14 სასწავლო კვირისა, Moodle-ის პლატფორმაზე ატვირთოს ნაშრომი, რომელიც შემოწმდება როგორც ანტიპლაგის პროგრამით, ასევე სტუდენტის სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ. წარმოდგენილი დოკუმენტაციებიდან ირკვევა, რომ საბაკალავრო ნაშრომში პლაგიატის (პლაგიატი 1%-იც კი დაუშვებელია. აქ იგულისხმება ტექსტის დამთხვევა, რომელსაც თავად turnitin- აჩვენებს). გამოვლენის (40%-ზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 80%-ისა - საშუალო სიმძიმის პლაგიატი) შემთხვევაში, ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტისათვის ნაშრომის კორექტირების მიზნით დაბრუნების, აპრობაციაზე დაშვების ან დაუშვებლობის შესახებ, რასაც ასახავს დასკვნაში და წარუდგენს შესაბამის დარგობრივ დეპარტამენტს. Moodle-ის პლატფორმაზე ხელმძღვანელი უთითებს შესაბამის კომენტარებს. სტუდენტი ვალდებულია გადამუშავებული საბაკალავრო ნაშრომი (ასეთი უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში) განმეორებით ატვირთოს Moodle-ის პლატფორმაზე არა უგვიანეს მე-17 სასწავლო კვირისა. პირველადი წარდგენის შემთხვევაში ნაშრომში 80%-ზე მეტი თანხვედრის (უხეში პლაგიატის) ან განმეორებით წარდგენის შემთხვევაში 40%-ზე მეტი თანხვედრის აღმოჩენის ან ხელმძღვანელის მიერ სტუდენტის აპრობაციაზე დაუშვებლობის შემთხვევაში, ნაშრომი ფასდება ,,0“ ქულით (F – ჩაიჭრა).

პლაგიატის პრევენციის და ანტიპლაგიატის გაძლიერების მიზნით ბსუ-ში მოქმედებს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესი[8], რომლის მიზანია ინტელექტუალური საკუთრების, საავტორო უფლებების, სამეცნიერო კვლევების წარმოების, ამ კვლევების შედეგების (ნაშრომი, სტატია, წიგნი, პროექტი ან სხვა პროდუქტი) გავრცელების პროცესში საქართველოს კანონმდებლობითა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით დადგენილი ეთიკური ნორმების და სტანდარტების აღიარება და დაცვა.

გასაუბრებით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის ცნობილია შეფასების თანამედროვე მეთოდები. პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა აღნიშნა, რომ სტუდენტებს წინასწარ აცნობენ სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული შეფასების მეთოდებს, შეფასების კრიტერიუმებს და რუბრიკებს, აღნიშნულ საკითხზე დამატებით ინფორმაციას სტუდენტები ღებულობენ სილაბუსების მეშვეობით.

ფაკულტეტის დეკანმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასევე პროგრამის ხელმძღვანელმა და განმახორციელებლებმა აღნიშნეს, რომ პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად პერიოდულად ახორციელებს სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ანალიზს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამა;

- პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- ინტერვიუ ფაკულტეტის დეკანთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

–

შეფასება:

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქ-მებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უნივერსიტეტში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება, ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი. სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო და აკადემიური პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით, მოქმედი სოციალური პროგრამების, სტიპენდიების, გაცვლითი პროგრამების, კონფერენციების, კონკურსების, სპორტული და კულტურულ-შემოქმედებითი წრეების არსებობისა და უსდ-ში არსებული სხვა საგანმანათლებლო, შემეცნებითი თუ სამომხმარებლო რესურსების შესახებ. დაკავშირებით. შესაბამისი სამსახურები და პროგრამის განხორციელებაში და მხარდაჭერაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ საჭირო ინფორმაციის მიწოდებას სტუდენტებისთვის. სტუდენტთა კონსულტირებას და მხარდაჭერას უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის (ამ უკანასკნელთა დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები), ფაკულტეტის ადმინისტრაციისა და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის, სტუდენტური პორტალის, უნივერსიტეტი ვებგვერდისა და სხვა სოციალური ქსელების საშუალებით. სტუდენტის აქტიურ და უწყვეტ ელექტრონულ კავშირს უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან სტუდენტური პორტალი – https://portal.bsu.edu.ge/. აღნიშნული პორტალი პროგრამის ერთ-ერთ ძლიერ მხარეს წარმოადგენს, რადგან მას აქვს ძალიან ბევრი ფუნქცია შეთავსებული, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობა (დამსაქმებლების დიდი ბაზა აქვს მიბმული, სადაც სტუდენტი ათავსებს CV-ს, არჩევს სასურველ ვაკანსიას და სხვ.), ბიუროკრატიის შემცირება (ქართულ და ინგლისურ ენებზე ცნობების, ამონაწერების მიღება, ადმინისტრაციასთან კომუნიკაციის გამარტივება), უკუკავშირის მიღება ლექტორისგან, წვდომა ლიტერატურაზე და სხვ. სტუდენტთა დამოკიდებულებების და მოსაზრებების შესწავლის მიზნით ფაკულტეტი ატარებს სტუდენტთა გამოკითხვებს, რომელიც მიმართულია საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურის, შინაარსის, მათი სათანადო ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის პერიოდულ შეფასებაზე. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ და აქტივობებში სტუდენტთა ჩართულობის შესაძლებლობას, რაც დადასტურდასტუდენტების მიერ. ასევე, სტუდენტებს აქვთ საშუალება შეხვდნენ დამსაქმებელს და უშუალოდ მიიღონ ინფორმაცია ვაკანსიების შესახებ. შედეგად, სტუდენტები ჩართულები არიან სხვადასხვა კომპანიების საქმიანობაში, პრაქტიკის ნაწილში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სტუდენტთა გამოკითხვები;

• ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან; • უნივერსიტეტის ვებგვერდი; • საგანმანათლებლო პროგრამა; • თვითშეფასების დოკუმენტი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება: **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;

- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობისა და უსდ-ის შიდა რეგულაციების შესაბამისად. პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაში ჯამურად ჩართული პერსონალის რაოდენობაა 30, საიდანაც 27 აკადემიური პერსონალია, რომელთაგანაც 18-ს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან აქვს აფილირება. საერთაშორისო ურთიერთობათა პროგრამაში ჩართულია 9 ადგილობრივი მოწვეული პერსონალი, შესაბამისად აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა 21/9 და აკადემიური, აკადმიური/სამცენიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში თანაფარდობა 30/160 უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

შესაბამისად, პროგრამის ფუნქციონირებაში აქტიურად არის ჩართული მაღალკვალიფიციური პერსონალი, რომელთა კვალიფიკაცია შესაბამისობაშია არსებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, რაც შესაბამისად ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მათი შემდგომი პროფესიულ და კარიერულ განვითარებაზე ზრუნვის პირობებში, იძლევა აღნიშნული მიმართულების კიდევ უფრო მეტი განვითარების შესაძლებლობებს. ასევე, აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები 49, საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები 37, ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები 55, საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები 46. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციის ქონით, რაც დასტურდება მათი პირადი საქმეებით. ასევე აღსანიშნავია, რომ აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის დენადობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის სტუდენტებთან და პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი სწავლების გარდა ჩართულია სტუდენტების კონსულტირების და პროგრამის განვითარების პროცესებში, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა აქტივობებსა თუ ღონისძიებებში.

დოკუმენტაციის გაცნობისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია დასტურდება როგორც სფეროს შესაბამისი

განათლებით, ასევე პრაქტიკული და სამეცნიერო საქმიანობით. პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში, მას გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. მისი კვალიფიკაცია, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება სრულად შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოთი გათვალისწინებულ მიმართულების/ დარგის მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ჩართულია პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა სახის აქტივობაში. ბათუმის უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებას დადასტურდა, რომ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულები არიან საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს შიდა რეგულაციების შესაბამისად, კერძოდ აღნიშნულ საკითხს არეგულირებს ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის №4 გადაწყვეტილება „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი“ დამტკიცების თაობაზე. სწორედ ბსუ-ს აკადემიურ საბჭოზე და შემდეგ წარმომადგენლობით საბჭოზე მტკიცდება და¬დგე¬ნილება აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური/საათობრივი დატვირთვის, ჯგუ¬ფე¬ბში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შესახებ, რომლის საფუძველზეც დგინ¬დება აკადემიურ პირთა სავალდებულო წლიური დატვირთვის ოდენობა კატეგორიების მიხე¬დვით. შესაბამისად, პროგრამას გააჩნია აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო და/ან სამეცნიერო-კვლევით და სხვა დატვირთვას მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები; • ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ფუნქციები და პირადი საქმეები; • აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა; • პროგრამის ხელმძღვანელების პირადი საქმეები; • თვითშეფასების დოკუმენტი; • ინტერვიუს შედეგები; • უნივერსიტეტის ვებგვერდი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;

➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში გამოთხოვილი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად და ჩატარებული ინტერვიუების შემდეგ დგინდება, რომ უნივერსიტეტი ყოველწლიურად ახორციელებს აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის შეფასებას. შეფასების მიზანია ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის თანამშრომლებს საკუთარი ფუნქციების ეფექტურად განხორციელებაში, მოახდინოს ინდივიდუალური და საუნივერსიტეტო მიზნებისა და ამოცანების თანხვედრა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის წესები. შეფასების წესში მოცემულია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის (პედაგოგიური, სამეცნიერო და სხვა საუნივერსიტეტო საქმიანობის) შეფასების კრიტერიუმები, შეფასებაზე პასუხისმგებელი პირები და მიღებული შედეგების გამოყენების პროცედურა.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობს საგანმანათ-ლებლო პროგრამით შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავები-სათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რასაც ადასტურებს აკადემიური პერსონალის და მოწვეული პედაგოგების მიერ გამოქვეყნებული შრომები და კვლევითი საქმიანობები, რომელიც ასახულია პერსონალის და მოწვეული პერსონალის სივებში.

აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ უნივერსიტეტი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს სთავაზობს გარკვეული სახის პროფესიული განვითარების მხარდამჭერ სისტემებს - როგორიცაა ფინანსური მხარდაჭერა საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის კუთხით, პუბლიკაციების გამოქვეყნება და ა.შ. სწორედ ამ მიზანს ემსახურება 2018 წლის 13 ივლისს ბსუ-ს წარმომადგენლობითმა საბჭოს #04 გადაწყვეტილება - უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე. აღნიშნული წესი არეგულირებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული, დამხმარე და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა ღონისძიებაში და აქტივობებში მონაწილეობის/მივლინების დაფინანსების მოპოვებასთან დაკავშირებულ პროცედურებს.

უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის პოტენციალის განვითარება

წარმოადგენს მიზანს ისეთი ღონისძიებებისა, როგორიცაა უნივერსიტეტის მიერ საზაფხულო/ზამთრის სკოლა, რომლის ჩასატარებლად ბსუ-ს ბიუჯეტიდან დაფინანსების მიღების მიზნით ცხადება შიდა კონკურსი. უნივერსიტეტს ასევე გააჩნია პროფესორ-მასწავლებლებისათვის ენობრივი კომპეტენციების ასამაღლებელი ინგლისური ენის თანადაფინანსების მქონე სასერტიფიკატო კურსები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები; • პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები და მისი ანალიზი; • დასრულებული და მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური პროექტების შედეგების შეფასების დოკუმენტი; • პერსონალის პირადი საქმეები; • ინტერვიუს შედეგები; • თვითშეფასების დოკუმენტი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): მისასალმებელია უნივერსიტეტის მაღალი დონის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საბიბლიოთეკო ინფრასტრუქტურა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, შესაბამისი მატერიალური და ტექნიკური რესურსებით. ბიბლიოთეკაში განთავსებული და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტს აქვს წვდომა თანამედროვე წამყვან სამეცნიერო ბაზებთან. აკრედიტაციის პროცესში ჩართულ სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად

გამოვლინდა, რომ ისინი კარგად არიან ინფორმირებულნი ბიბლიოთეკაში არსებული რესურსებისა და მათი გამოყენების წესების შესახებ. ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი სფეროს უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. უნივერსიტეტის მხრიდან ხდება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფართო დანერგვა და გამოყენება. უნივერსიტეტს გააჩნია კეთილმოწყობილი, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს მაღალ დონეზე გამართული ელექტრონული სწავლების პორტალი, რომელიც პანდემიის პირობებში უზრუნველყოფს პროგრამის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის უწყვეტი და გამართული, სხვადასხვა სახის პროგრამული მომსახურების მაღალ ხარისხს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არსებული პანდემიის გამოწვევების ფონზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ინტერვიუ ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან; • სამეცნიერო ბაზების კატალოგი; • თვითშეფასების დოკუმენტი; • უნივერსიტეტის ვებგვერდი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს მაღალ დონეზე გამართული ელექტრონული სწავლების პორტალი, რომელიც პანდემიის პირობებში უზრუნველყოფს პროგრამის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის უწყვეტი და გამართული პროგრამული მომსახურების მაღალ ხარისხს.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბსუ-ის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში გაწერილი შემოსავლებისა და გასავლების ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით. ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია ხარჯები შრომითი ანაზღაურების, სასაქონლო მომსახურეობის, მივლინებების და სოციალური უზრუნველყოფიის მიმართულებით, თუმცა **სასურველია,** ბიუჯეტში ჩაიდოს მეტი ფინანსური რესურსი აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების, სტუდენტების მხარდაჭერისა, თუ სხვა აქტივობების განხორციელების მიმართულებით. ასევე ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას მეტი ფინანსური რესურსი სამეცნიერო ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის ბიუჯეტი; • თვითშეფასების დოკუმენტი; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის **სასურველია,** ბიუჯეტში ჩაიდოს მეტი ფინანსური რესურსი აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების, სტუდენტების მხარდაჭერისა თუ სხვა აქტივობების განხორციელების მიმართულებით და ასევე, სამეცნიერო ლიტერატურისა და ჟურნალ-გაზეთების შეძენისთვის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბსუ-ში სწავლა-სწავლების, კვლევის პროცესისა და სხვა საუნივერსიტეტო სერვისების მიწოდებისა თუ განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება როგორც უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციებს, ისე უმაღლესი განათლების სივრცეში არსებულ ქართულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო გამოცდილებას. შესაბამისად, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საქმიანობისას ხელმძღვანელობს ისეთი დოკუმენტებით როგორიცაა: უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები (ESG); საქართველოს კანონი ,,უმაღლესი განათლების შესახებ"; საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ"; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები; უნივერსიტეტის წესდება; მისია; სტრატეგიული განვითარების გეგმა; სამოქმედო გეგმა; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა; აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი და უნივერსიტეტის მართვის ორგანოების სხვა სამართლებრივი აქტები.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემუშავებულია და ხორციელდება დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად, რაც გულისხმობს მუდმივ მონიტორინგსა და შეფასებას პროგრამის განხორციელების ისეთი ინდიკატორებისა, როგორიცაა: სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება; კვლევის მაღალი ხარისხი; საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა; პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია; სასწავლო რესურსებისა და სერვისების მაღალი ხარისხი; პერიოდული და ეფექტური მონიტორინგი, შეფასება და რეაგირება. შესაბამისად, უნივერსიტეტში შემუშავებული შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე" პრინციპით მუშაობას, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის თანამონაწილეობას.

ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის აკადემიური, მოწვეული პერსონალი და დამსაქმებლები აქტიურად იყვნენ ჩართულნი პროგრამის შემუშავებისა და შეფასების პროცესში. საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების პროცესს ხელმძღვანელობდა პროგრამის ხელმძღვანელი და სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა როგორც აკადემიური პერსონალი, ისე სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. შეფასების პროცესში მონაწილეობდა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფს სამსახური. შესაბამის სამიზნე ჯგუფებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ფარგლებში განიხილეს როგორც პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო გეგმა, სწავლებისა და შეფასების მეთოდები, ისე დადგინდა და გაზიარდა დამსაქმებლების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შეხედულებები და მოსაზრებები.

თვითშეფასების ანგარიშითა და თანდართული დოკუმენტებით ირკვევა, რომ უნივერსიტეტში სისტემატიურად ხორციელდება სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების რეგულარული გამოკითხვები მათი კმაყოფილების დონის განსაზღვრისა და საუნივერსიტეტო

სერვისების შეფასების მიზნით. გარდა აღნიშნულისა, გამოკითხვები ემსახურება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასებას. სისტემური სახე აქვს საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების, განმახორციელებელი პირების (პროფესორ-მასწავლებლების) მუშაობის ეფექტიანობის შეფასებასა და სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის განხორციელებას. გარდა აღნიშნულისა, პერიოდულად ხორციელდება კურსდამთავრებულთა დასაქმების მონიტორინგი და დამსაქმებლის დამოკიდებულების და შრომის ბაზრის მოთხოვნების დადგენა.

ბსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას, კერძოდ კი რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემთა თავმოყრას, ანალიზს, ინფორმაციის გაზიარებას და სხვადასხვა ბიუროკრატიული პროცესის გამარტივებას ხელს უწყობს უნივერსიტეტის მიერ შექმნილი ელექტრონული პორტალი. პორტალი ხელმისაწვდომია როგორი უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთვის, აკადემიური, მოწვეული ლექტორებისთვის, ისე სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის. მეტიც, ელექტრონული პორტალი უნიკალურია იმ მხრივ, რომ ის საშუალებას აძლებს სტუდენტებსა და რეგიონში არსებულ დამსაქმებელ ორგანიზაციებს ყოველგვარი შეფერხების გარეშე დაამყარონ კომუნიკაცია, რაც ერთი მხრივ, ხელს უწყოს სტუდენტთა დასაქმების შესაძლებლობების ზრდას, ხოლო მეორე მხრივ, ზრდის დამსაქმებელთა უნივერსიტეტით დაინტერესებისა და მასთან თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივას. პორტალი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს საშუალებას აძლევს ადვილად მოიპოვოს და დაამუშავოს შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები (სტუდენტთა აკადემიური მოსწრება, კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა, გამოკითხვის შედეგები და სხვ.), ასევე, მიიღოს პირდაპირი უკუკავშირი სტუდენტისგან, რაც საგანმანათლებლო პროგრამებისა და საუნივერსიტეტო სერვისების შეფასებისა და განვითარების შესაძლებლობებს იძლევა.

თვითშეფასების ანგარიშით, თანდართული დოკუმენტებითა და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და პროგრამის თვითშეფასების სამუშაო ჯგუფი აქტიურად იყო ჩართული პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში. ასევე, დასტურდება მათი აქტიური თანამშრომლობა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთა პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესების დაგეგმვის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის, 15 ივნისის №37 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“, იხ. დანართი 10;
- ბსუ-ს რექტორის 15 თებერვლის №01-02/21 (შევიდა ცვლილება 25 ივნისის №01-02/97) ბრძანება - „ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე კურიკულუმის კომიტეტისა შემადგენლობისა და მუშაობის გეგმის დამტკიცების შესახებ. იხ. დანართი 8 დანართი 9;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 დეკემბრის დადგენილება 06-01/82 ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საგანმანთლებლო პროგრამების შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფების შექმნის შესახებ დანართი 7;
- კურიკულუმის კომიტეტის სხდომის ოქმები; დანართი 76; სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები,

დანართი 77; პროგრამის სასწავლო გეგმა, გამოკითხვის მასალები. დანართი 3; ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები(https://bsu.edu.ge/sub-27/page/2-62/index.html); • სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა – http://emis.bsu.edu.ge ასევე სტუდენტური პორტალი – https://portal.bsu.edu.ge/; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშით, თანდართული დოკუმენტაციითა და ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ წარმოდგენილი პროგრამა იყენებს გარე შეფასების ისეთ მექანიზმებს, როგორიცაა კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და სხვა დაინ-ტერესებულ მხარეთა გამოკითხვა, საგანმანათლებლო პროგრამების გარე ექსპერტიზა, წინარე აკრედიტაციისას მიღებული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება და სხვ. წარმოდგენილი პროგრამის გარე შეფასება განხორციელდა დარგის უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით. პროგრამა, მისი მიზნები, სწავლის შედეგები და სასწავლო გეგმა შეფასდა პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის, ვარშავის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის მეცნიერების ფაკულტეტის დეკანის მოადგილის საერთაშორისო თანამშრომლობისა და კვლევითი პროექტების/პროგრამების დარგში, პროფესორი იაკობ ზაიაკოვსკის, ასევე ვუჯის უნივერსიტეტის (პოლონეთი) საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, საგარეო პოლიტიკის თეორიისა და უსაფრთხოების დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორის, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორის რობერტ ჩულდას მიერ. პროგრამა ასევე გაეგზავნა ოლდენბურგის უნივერსიტეტის ემერიტუს-პრეზიდენტს მიქაელ დაქსნერს. პროგრამის მოდიფიცირებისა პროცესში პროგრამის ხელმძღვანელისა და სამუშაო ჯგუფის მიერ გათვალისწინებული იქნა გარე შემფასებლების რეკომენდაციები და რჩევებიც. კერძოდ, სასწავლო გეგმას დაემატა ჩინეთის საგარეო პოლიტიკის შემსწავლელი სასწავლო კურსი, პროგრამის სტრუქტურაში განხორციელდა სასწავლო კურსების დასახელების და ადგილმონაცვლეობის ცვლილება, სასწავლო კურსი დიპლომატიური პროტოკოლი და ეტიკეტი გადავიდა მერვე სემესტრში. კურსს სტუდენტები პროფესიულ პრაქტიკის პარალელურ რეჟიმში გავლიან.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ არ იქნა გათვალისწინებული გარე ექსპერტთა რიგი რეკომენდაციები. აღნიშნულთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას დაზუსტდა, რომ გარე ექსპერტთა დასკვნების გაცნობის შემდგომ შედგა ონლაინ შეხვედრები შემფასებელ ექსპერტთა მონაწილეობით, რა დროსაც პროგრამის ხელმძღვანელისა და სამუშაო ჯგუფის მიერ განმარტებულ და დაზუსტებულ იქნა პროგრამის კომპონენტებთან, კერძოდ კი სასწავლო კურსების შინაარსთან დაკავშირებული საკითხები, რამაც რიგი რეკომენდაციების გაუქმების საფუძველი მისცა პროგრამის გუნდსა და რეკომენდაციის გამცემ პირებს. გარე შემფასებელთა რეკომენდაციების გაცნობის, კურიკულუმის შესწავლისა და ინტერვიუს შედეგების გათვალისწინების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფს მნიშვნელოვნად მიაჩნია გარე, დამოუკიდებელ შემფასებელთა რამდენიმე რეკომენდაციის გათვალისწინება. დეტალურად იხილეთ მე-2 სტანდარტის აღწერილობაში.

პროგრამის თვითშეფასებით და თანდართული დოკუმენტაციით ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების ერთ-ერთ ეფექტურ მექანიზმად, იყენებს დამსაქმებლებისა და პოტენციური დამსაქმებლების გამოკითხვასა და სამუშაო შეხვედრებს, რა დროსაც ფასდება პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, მათი მიღწევისა და განხორციელების ადეკვატურობა, პროგრამის კურიკულუმი, სწავლის და სწავლების მეთოდები, კურსდამთავრებულთა კომპეტენციები და სხვ. დამსაქმებლებთან სამუშაო შეხვედრების ფარგლებში გამოითქვა მოსაზრებები პროგრამის სასწავლო კომპონენტებში კომუნიკაციის, კვლევის, პრეზენტაციის, პროტოკოლის და ეტიკეტის მიმართულებით პრაქტიკული უნარების გამაძლიერებელი სასწავლო კურსების დამატების თაობაზე. მათი რეკომენდაციის საფუძველზე, სამუშაო ჯგუფმა პროგრამის სასწავლო გემაში შეიტანა შემდეგი სასწავლო კურსები: პრეზენტაციის და კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, დიპლომატიური პროტოკოლი და ეტიკეტი, საჯარო პოლიტიკური კომუნიკაცია, სოციოლოგიური კვლევის მეთოდები და კვლევის დიზაინი, თურქული ენა, სამოქალაქო აქტივიზმი და სხვ.

მნიშვნელოვანი აღინიშნოს, რომ პროგრამის აკადემიური გუნდი გეგმავს საგანმანთლებლო პროგრამის გარე შეფასების მიზნით ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად განსაზღვროს კოლეგების (სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან) მიერ პროგრამის ან სტუდენტთა ნამუშევრების შეფასება. აღნიშნული შესაძლებელს გახდის ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში პროგრამისა და კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის შედარებას (ბენჩმარკინგი) სხვა უნივერსიტეტების პროგრამებთან და კურსდამთავრებულთა პოტენციალთან.

დამატებით, პროგრამების გარე შეფასების მიზნით, უნივერსიტეტში დანერგილია აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინების პრაქტიკა, ისევე როგორც კურსდამთავრებულთა დასაქმების და სწავლის გაგრძელების, პროგრამის დამთავრების ან/და სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის, სამუშაო ადგილების, პოზიციების, შემდეგ საფეხურზე აკადმიური მოსწრების, კურსდამთავრებულთა კარიერული წინსვლის და სხვა მაჩვენებლების შეგროვება და გაანალიზება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ბსუ-ს ხარისხის სამსახურის კვლევები- https://bsu.edu.ge/sub-27/page/2-62/index.html;
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „საერთაშორისო ურთიერთობების“ რეაკრედიტაციის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის და პოტენციურ დამსაქმებელთა ერთობლივი სხდომის ოქმი #8 დანართი 78;

- პროფესორ იაკობ ზაიაკოვსკისის გამოხმაურება- იხ. დანართი 79;
- პროფესორ რობერტ ჩულდას გამოხმაურება- იხ. დანართი 80;
- ემერეტუს-პრეზიდენტის მიქაელ დაქსნერის გამოხმაურება- იხ. დანართი 81;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილი პროცედურებისა და მექანიზმების შესაბამისად. ხსენებული დოკუმენტის თანახმად, უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მთავარი პრინციპებია: სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და კვლევის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა; საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა; პერსონალის შეფასებისა და პროფესიული წინსვლის ხელშეწყობა; სასწავლო რესურსებისა და სერვისების ხარისხის გაუმჯობესება; სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა; პერიოდული და ეფექტური მონიტორინგის, შეფასების და რეაგირების სისტემის გაუმჯობესება.

უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს ხელმძღვანელობს ცენტრალური და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები, რომლებიც დებულებით გათვალისწინებული კომპეტენციების ფარგლებში მონაწილეობას იღებენ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შემდგომში კი მონიტორინგის, შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესებში.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, რაც გულისხმობს საუდიტორიო მეცადინეობებზე დასწრებას, სასწავლო და საგამოცდო მასალების შეფასებას, გამოცდების მონიტორინგს და შედეგების ანალიზს, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებლების დადგენასა და ანალიზს, აკადემიური და

სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასებას, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების გაანალიზებას და სხვ.

საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების პროცესში აქტიურად გამოიყენება სტუდენტური პორტალი, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვები და აკადემიური მოსწრების დამუშავება. როგორც აღვნიშნეთ, სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ აღნიშნული პორტალის გამოყენებით ყოველწიურად ტარდება სტუდენტთა გამოკითხვები, რა დროსაც სტუდენტთა მიერ ფასდება სასწავლო კურსის შინაარსი, სასწავლო კურსის ლექტორი, პროგრამის მატერიალური რესურსები, სასწავლო პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. სტუდენტური პორტალი საშუალებას იძლევა სტუდენ-ტთა გამოკითხვებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე დადგინდეს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციების მიღწევის დონე და დაისახოს შემდგომი გაუმჯობესების გზები და საჭიროებები.

სააკრედიტაციო წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის მონიტორინგის პროცესში პროგრამის განმახორციელებლების მიერ განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- დაიხვეწა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები, მოხდა მათი შესაბამისობის დადგენა ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან;
- მოხდა შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნებისა თუ საჭიროებების დადგენა და პროგრამის შინაარსში მათი ასახვა;
- პროგრამის შეფასების მიზნით ჩატარდა კურსდამთავრებულთა ფოკუს-ჯგუფი;
- განხორციელდა სტუდენტთა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა;
- განახლდა სასწავლო კურსების თემატიკა;
- პროგრამა შეფასდა დარგის წარმომადგენელი უცხოელი ექსპერტების მიერ, მოხდა პროგრამაში მათი რეკომენდაციებისა და რჩევების ასახვა;
- შემუშავდა პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. კერძოდ, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა; კურიკულუმის რუკა, რომელიც დაკომპლექტდა კომპეტენციაზე გამსვლელი სავალდებულო სასწავლო კურსებით და თითოეული კურსისთვის განისაზღვრა სწავლის შედეგზე გამსვლელი შესაბამისი დონე; სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგების ანალიზის საფუძველზე მოხდა პროგრამის სწავლის შედეგებისთვის სამიზნე ნიშნულების დადგენა და შეფასების კრიტერიუმების გასაზღვრა;
- განხორციელდა პროგრამის დადარება ქართული და უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან.

პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი მონიტორინგის მექანიზმად მოაზრებულია საბაკალავრო ნაშრომების დაცვისა და სასწავლო პრაქტიკის განხორციელებაზე დაკვირვება. ასევე, პროგრამის განხორციელების ციკლის ფარგლებში იგეგმება აბიტურიენტთა მოლოდინების კვლევა და სტუდენტთა დასრულების კმაყოფილების კვლევის შედეგების დადარება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები იხ. ბმულზე - https://bsu.edu.ge/sub-27/page/2-62/index.html;
- პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ამსახველი დოკუმენტაცია - დანართი 82;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“; https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_8380_1.pdf იხ. დანართი 10; • ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა. იხ. დანართი 72; • ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 29 ივნისის №46 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის შესახებ“ იხ. დანართი 60; პერსონალის თვითშეფასების ელექტრონული სისტემა იხ. - www.apa.bsu.edu.ge; • შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტი; • ანალოგ პროგრამებთან შედარების დოკუმენტი; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური
საერთაშორისო ურთიერთობები, საფეხური 6

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 42

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა გვანცა აბდალაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ეკა დარბაიძე



სახელი, გვარი, ხელმოწერა

ქრისტინე ჩიხლაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ირაკლი ნოდია